

შპს ტიკ-ტაკ კაფე ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები	10
5. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	10
6. ძირითადი საშუალებები.....	11
7. სავაჭრო ვალდებულებები	12
8. გრძელვადიანი სესხები	12
9. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.....	13
10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	14
11. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	14
12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	15
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
ფული და ფულის ექვივალენტები	4	133,959	82,187
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	207,537	150,600
სავაჭრო მოთხოვნები	6	158,663	7,550
გადახდილი ავანსები		78,025	84,950
სულ მოკლევადიანი აქტივები		578,184	325,287
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1,437,603	1,110,411
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,437,603	1,110,411
სულ აქტივები		2,015,787	1,435,698
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	201,954	161,334
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		57,212	3,026
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		67,079	25,135
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		326,245	189,495
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	1,364,089	1,324,973
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,364,089	1,324,973
სულ ვალდებულებები		1,690,334	1,514,468
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
დაგროვილი ზარალი		325,453	(78,770)
სულ საკუთარი კაპიტალი		325,453	(78,770)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,015,787	1,435,698

აღმასრულებელი დირექტორი -----



ანტონინა კოვინიევა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოკლევადიანი აქტივები	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
ფული და ფულის ექვივალენტები	4	133,959	82,187
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	207,537	150,600
სავაჭრო მოთხოვნები	6	158,663	7,550
გადახდილი ავანსები		78,025	84,950
სულ მოკლევადიანი აქტივები		578,184	325,287
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1,437,603	1,110,411
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,437,603	1,110,411
სულ აქტივები		2,015,787	1,435,698
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	8	201,954	161,334
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		57,212	3,026
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		67,079	25,135
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		326,245	189,495
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	1,364,089	1,324,973
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,364,089	1,324,973
სულ ვალდებულებები		1,690,334	1,514,468
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
დაგროვილი ზარალი		325,453	(78,770)
სულ საკუთარი კაპიტალი		325,453	(78,770)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,015,787	1,435,698

აღმასრულებელი დირექტორი -----

ანტონინა კოვინიევა

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	7,920,954	993,008
თვითღირებულების ხარჯი	10	(3,661,001)	(374,936)
საერთო მოგება		4,259,953	618,072
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1,571,743)	(389,894)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(1,933,836)	(232,176)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(344,000)	(50,806)
სხვა შემოსავლები		9,258	29,159
სხვა ხარჯები		(15,378)	(53,125)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		404,254	(78,770)
საპროცენტო ხარჯი		-	-
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		-	-
მოგება დაბეგვრამდე		404,254	(78,770)
მოგების გადასახადი		(31)	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		404,223	(78,770)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარი	-	-	-
წმინდა ზარალი	-	(78,770)	(78,770)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	(78,770)	(78,770)
წმინდა მოგება	-	404,223	404,223
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	325,453	325,453

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ტიკ-ტაკ კაფე დაფუძნდა 2020 წლის 10 მარს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ., N6, ბ. N13. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 445578376. კომპანიის მფლობელები არიან: ანტონინა კოვინიევა პ/ნ 19590208-01164, FE427616 /უკრაინა/ -100%.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სარესტორნო ბიზნესი. რესტორანი მდებარეობს ბათუმში, ტურისტულად აქტიურ ლოკაციაზე.

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - ანტონინა კოვინიევა პ/ნ 19590208-01164, FE427616 /უკრაინა/.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	25-40
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

3.4 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.5 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული საღაროში.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-24	31-12-23
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	133,959	82,187
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	133,959	82,187

5. სასაქონლო მატერიალური მარაგები

2024 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის მარაგებს უმეტეს ნაწილს წარმოადგენს რეალიზაციისთვის განკუთვნილი მასალა და ნედლეული.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სასაქონლო მატერიალური მარაგები	31-12-24	31-12-23
საქონელი	182	-
მასალა და ნედლეული	207,355	150,600
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	207,537	150,600

6. ძირითადი საშუალებები

2024 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	232,950	208,036	440,986
ავეჯი და სხვა ინვენტარი	613,814	275,657	889,471
სატრანსპორტო საშუალებები	314,453	187,499	501,952
სულ ისტორიული ღირებულება	1,161,217	671,192	1,832,409

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	4,014	34,853	38,867
ავეჯი და სხვა ინვენტარი	33,382	152,177	185,559
სატრანსპორტო საშუალებები	13,410	156,970	170,380
სულ დაგროვილი ცვეთა	50,806	344,000	394,806

2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	232,950	232,950
ოფისის აღჭურვილობა	-	613,814	613,814
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	314,453	314,453
სულ ისტორიული ღირებულება	-	1,161,217	1,161,217

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	4,014	4,014
ოფისის აღჭურვილობა	-	33,382	33,382
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	13,410	13,410
სულ დაგროვილი ცვეთა	-	50,806	50,806

7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად გვაქვს ადგილობრივ მომწოდებლებთან;

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
რეზიდენტებთან წარმოქმნილი სავაჭრო ვალდებულებები	201,946	160,885
არარეზიდენტებთან წარმოქმნილი სავაჭრო ვალდებულებები	8	449
სულ სავაჭრო ვალდებულებები	201,954	161,334

8. გრძელვადიანი სესხები

კომპანიას აქვს აღებული სესხები დაკავშირებული მხარისგან,

2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო. ნაშთები შემდეგია:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
დამფუძნებლისგან მიღებული სესხები	1,364,089	1,324,973
სხვა	-	-
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1,364,089	1,324,973

9. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის წყარო არის სასტუმროს ოთახების გაქირავებისგან და კაფე-ბარისგან მიღებული შემოსავლები, რომელიც წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	2024	2023
შემოსავალი	7,920,954	993,008
ბათუმის ფილიალი 1	5,075,936	361,990
ბათუმის ფილიალი 2	2,636,305	631,018
თბილისი	208,713	-
თვითღირებულება:	(3,661,001)	(374,936)
ბათუმის ფილიალი 1	(2,306,431)	(236,210)
ბათუმის ფილიალი 2	(1,208,130)	(138,726)
თბილისი	(146,440)	-
საერთო მოგება	4,259,953	618,072

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალური, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2024	2023
იჯარის ხარჯი	417,844	148,496
ქრავთ და ერთჯერადი ჭურჭლის ხარჯი	321,922	108,163
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	190,152	26,219
სამეურნეო ხარჯი	134,485	40,310
საბანკო ხარჯი	129,375	17,688
ბუღალტრული მომსახურების და საკონსულტაციო ხარჯი	58,724	3,468
Delivery -სერვისის ხარჯი	53,667	2,266
ტექნიკური ხარჯი	52,745	1,040
ჰიგიენური და დასუფთავების სასუალებების ხარჯი	40,839	3,890
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯი	40,234	9,928
IT და პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	20,186	9,535
ქოსთ-კონტროლერის მომსახურების ხარჯი	18,000	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	93,570	18,891
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,571,743	389,894

11. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2024	2023
დაკავშირებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სხვა სარგებელი	120,075	135
სხვა დაქირავებულ პირებზე გაცემული ხელფასები და სარგებელი	1,813,761	232,041
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	1,933,836	232,176

12. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

12.1 სესხები

კომპანიას აქვს აღებული სესხები დაკავშირებული მხარეებისგან. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	31-12-24	31-12-23
დამფუძნებლისგან მიღებული სესხები	1,364,089	1,324,973
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1,364,089	1,324,973

12.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2024 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 120,075 ლარი, ხოლო 2023 წელს 135 ლარი.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წელს შეიცვალა დირექტორი. გარდა ამისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.